WORD-OF-MOUTH მარკეტინგი - მცირე ბიზნესებისა და სტარტაპების ეფექტიანი მარკეტინგული არხი

ანი ყურაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრატურის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ბიზნესის ადმინისტრირება: მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სალომე დანელია, ეკონომიკის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანი ყურაშვილი

ა.ყურაშვილი 15.06.2023

ნაშრომში გამოყენებული გარკვეული მონაკვეთები აღებულია 2022-2023 წლის გაზაფხულის სემესტრში კვლევის მეთოდების კურსის ფარგლებში ჩემ მიერ შესრულებული სიმულაციური სამაგისტრო ნაშრომიდან - „WORD-OF-MOUTH მარკეტინგი - მცირე ბიზნესებისა და სტარტაპების ეფექტიანი მარკეტინგული არხი".

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია სიტყვიერი (**Word of Mouth**) **მარკეტინგ**ის მნიშვნელობა, სტარტაპებისა და მცირე ბიზნესის წარმატებაში. მსოფლიოში, ყოველდღიურად უამრავი ახალი კომპანია ყალიბდება და ცდილობს თავის დამკვიდრებას მსოფლიო ბაზარზე, ამ ფაქტორის გათვალისწინებით კი მცირე მასშტაბის კომპანიები საკმაოდ რთულ პირობებში არიან. გიგანტურ კომპანიებს, აქვთ საშუალება ათასობით დაფინანსებული რეკლამით თუ სიახლის გამავრცელებელი კამპანიით „დაბომბოს“ მომხმარებელი, მაშინ როცა მცირე კომპანიებს შეზღუდული რესურსები გააჩნიათ. იგივე სიტუაცია, გვხვდება საქართველოს ბაზარზეც.

ყველასთვის ცნობილი, კლასიკური სარეკლამო საშუალებების გარდა თანამედროვე სამყაროში უკვე ბევრი ალტერნატივა გაჩნდა, რაც ნაკლებ ბიუჯეტს, ნაკლებ დროს და ნაკლებ რესურსს მოითხოვს. WOM მარკეტინგი, სწორად დაგეგმვის პირობებში, ძალიან დიდი წარმატების მომტანია კომპანიისთვის და ეს საშუალება, კომპანიების მიერ სრულად ათვისებული უნდა იყოს. მოცემული კვლევის მიზანიც, არის გაირკვეს რამდენად ხდება ამ რესურსის გამოყენება ჩვენი ქვეყნის მაგალითზე და რამდენად ეფექტურ შედეგებს იძლევა.

აღნიშნული ჰიპოთეზა გადამოწმდა ერთის მხრივ თვისებრივი და მეორეს მხრივ რაოდენობრივი კვლევის შედეგად, რათა მიგვეღო კვლევითი სინერგია, მეტი სიცხადისთვის.

კვლევის შედეგების საფუძველზე დადგინდა, რომ WOM მარკეტინგი საკმაოდ ცნობილი მარკეტინგული საშუალებაა საქართველოში ჩვენი დროის მაგალითზე, თუმცა მისი ყველა მიმართულება ათვისებული არ არის. ხოლო სარგებელი, რაც ამ აქტივობიდან აქვთ კომპანიებს, ძალიან ღირებული და მნიშვნელოვანია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სიტყვიერი მარკეტინგი, „WOM“ მარკეტინგი, სიტყვის ძალა, ციფრული მარკეტინგი, რეკლამირება, სოციალური მედია მარკეტინგი, რეკომენდაცია, სტარტაპი, მცირე ბიზნესი.

Abstract

This paper discusses the importance of word of mouth marketing in the success of startups and small businesses. In the world, every day a lot of new companies are formed and trying to establish themselves in the world market, and considering this factor, small-scale companies are in quite difficult conditions. Giant companies can afford to bombard customers with thousands of sponsored ads or news campaigns, while smaller companies have limited resources. The same situation can be found in the market of Georgia.

In addition to the classic advertising means known to everyone, many alternatives have already appeared in the modern world, which require less budget, less time and less resources. WOM marketing, under the conditions of proper planning, is very successful for the company and this tool should be fully utilized by the companies. The purpose of this research is to find out how much this resource is used on the example of our country and how effective results can be achieved.

The mentioned hypothesis was verified on the one hand as a result of qualitative and on the other hand as a result of quantitative research in order to obtain research synergy for greater clarity.

Based on the results of the research, it was determined that WOM marketing is a well-known marketing tool in Georgia, as an example of our time, although not all its directions have been utilized. And the benefits that companies have from this activity are very valuable and important.

Key Search Words: word of mouth marketing, WOM marketing, word of mouth, digital marketing, advertising, social media marketing, referral, startup, small business.